პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 68 (11072)

პარასკევი, 21 მარტი, 1958 წ.

ფასი 20 კაპ

საქართველოს სსრ ცენტრალური ბიბლიოთეკა

დღეს მოსკოვში გაიხსნება ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა.

მხურვალე სალამი დეკადის მონაწილეებს!

ქართული კულტურის ზეიმი

დღეს ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიხსნება ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. მოსკოვის მაღალი მხატვრული გემოვნების მკრნე და მომთხოვნი საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგებიან ქართველი მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები და ხელოვნების სხვა მუშაკები, რომელთა წინაშე ძნელი, მაგრამ უაღრესად საპატიო ამოცანა დგას: მათ მოსკოველებს უნდა უჩვენონ ქართული ხელოვნების მთელი სიმდიდრე, სილამაზე და მრავალფეროვნება, ქართული ლიტერატურის სიბრძნე და მშვენიერება.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების უკვდავ ქმნილებაზე აღბეჭდილია ქართველი ერის მაღალი სულიერი თვისებანი, მისი ფიქრები და გრძნობები, სიხარული და ტკივილები, ბრძოლები და მისწრაფებები. მრავალი საუკუნის განმავლობაში თაობიდან თაობამდე ქართველი ხალხი თავდადებულ ბრძოლასა და ბრძოლაში ქმნიდა, აყალიბებდა, სჭედდა თავის იდეალს, თვითმყოფად კულტურას; მან ეს კულტურა გამოარჩია საუკუნეთა სიდუხჭირეში, დაიცვა ყოველგვარი განსაცდელისაგან და გამოიყვანა ფართო სარბიელზე, სადაც იგი ხალხს მიედინება ლაღად, დიდებულად, როგორც მდინარე, რომელიც კლდოვან ვიწროებს გასცდა და გაივაკა, გაიმინდვრა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო მრისხანე ძველი წყობილება და გასკვნა საძირკველი, რომელიც აშენდა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ბედნიერი ცხოვრება, მისი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა. დიდი ლენინის ნებით შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს შეუქმნა პირობები ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის უმაგალითო აყვავებისათვის. საბჭოთა საქართველოს მაგალითზე, მისი პირველხარისხოვანი მრეწველობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის, მისი მაღალი კულტურის მაგალითზე საუცხოოდ მოჩანს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ძალა და უძლეველობა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის სისწორე და ცხოველმყოფელობა.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა, რომელიც მეორედ იმართება ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში, ქართული კულტურის, მთელი ქართველი ხალხის ნამდვილი ზეიმია. დეკადის დღეებში მოსკოველები და მათთან ერთად მრავალრიცხოვანი სტუმრები, რომლებიც საგანგებოდ ჩამოვლენ მოსკოვში დეკადასთან დაკავშირებით, გაეცნობიან ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. თბილისისა და მოსკოვის გამომცემლობებმა რუსულ ენაზე გამოუშვეს ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები. რომელთა შორის წარმოდგენილ რუსთაველის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ხალხურ ჯავახიშვილის გალაკტიონ ტაბიძის და სხვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა უკვდავი ქმნილებანი. თბილისის მრავალი თეატრები — ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის, მარჯანიშვილისა და გრიბოედოვის სახელობის თეატრები მოსკოველ მაყურებელს უჩვენებენ თავიანთ საუკეთესო და სრულყოფილ დადგმებს, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევიან „დაისი“, „ოტელო“, „იდიპოს მეფე“, „მოკვეთილი“ და სხვ. ქართველი მხატვრების რჩეულ ნამუშევრებს მოსკოველები ნახავენ სპეციალურ გალერეაში.

მოფენაზე, რომელიც ეწყობა დეკადის დღეებში მოსკოვში, კონსტუდია „ქართული ფილმი“ მოსკოველებს უჩვენებს მის მიერ გადაღებულ თხუთმეტამდე ფილმს მრავალრიცხოვანი მუსიკალური კოლექტივები და ანსამბლები. აგრეთვე ქართული ცირკი ფართოდ უჩვენებენ მოსკოველებს თავიანთ ოსტატობას.

მაგრამ ქართველი ხალხის წარგზავნილებმა დეკადაზე მოსკოვში წაიღეს არა მარტო საუკეთესო წიგნები და სურათები, სპექტაკლები და მუსიკალური ნაწარმოებები, საცეკვაო თუ საცირკო ნომრები, არამედ რაღაც კიდევ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი — მათ მოსკოვში წაიღეს რუსი ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისადმი ქართველი ხალხის მეგობრობისა და სიყვარულის წრფელი გრძნობები. სწორედ ამაშია დეკადის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

მეგობრობა, ურთიერთ პატივისცემა და სიყვარული ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხებს შორის დიდი ხნის წინათ ჩაისახა. მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთი უხეშ კოლონიზატორულ პოლიტიკას ეწეოდა და ხალხთა საპყრობილე იყო, იმდროინდელი მოწინავე ადამიანები მაინც ახერხებდნენ ერთმანეთისათვის მეგობრობის ხელი გაეწოდებინათ და შეურთებული ძალით ებრძოლათ ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ძველ დროს მხოლოდ ცალკეულ მოწინავე ადამიანებს შეეძლოთ საკუთარი ინიციატივით ეზრუნათ მეგობრობისა და სიყვარულის თესლის გაღივებისათვის, ხოლო ხალხთა მეგობრობისათვის მაშინ პირობები არ არსებობდა. მხოლოდ საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ წარმოიქმნა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიანი, ძმური ოჯახი, რომელიც სამუდამოდ შეკრული და შედუღაბებულია მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობებით. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა დიდი და სერიოზული მონაპოვარია, და არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური, არც გარეშე მტერი, ვიდრე ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს.

როდესაც მოსკოვის დიდ თეატრში გაისმის ქართული მელოდიები და მათ აღფრთოვანებით ისმენს რუსი, უკრაინელი, სომეხი, უზბეკი — ეს ჩვენი დიდი საბჭოთა ოჯახის ერთიანობის, ყველა ერის ძმობის საუკეთესო გამოხატულებაა. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხის ზეიმი მთელი საბჭოთა ხალხის ზეიმიც არის.

მაგრამ დეკადა არა მარტო ზეიმია, არამედ ჩვენი კულტურის მონაპოვართა სერიოზული შემოწმებაც არის. ქართული კულტურის მოღვაწეებმა, მთელმა ქართველმა ხალხმა კარგად იციან, რომ დიდ მიღწევებთან ერთად ჩვენს ხელოვნებასა და ლიტერატურას ნაკლოვანებებიც აქვს. ამიტომ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ დეკადის მონაწილენი განსაკუთრებული ყურადღებით მოისმენენ მოსკოვის საზოგადოებრიობის ამხანაგურ კრიტიკულ შენიშვნებს, დაიხსომებენ და გამოიყენებენ მათ იმისათვის, რომ კიდევ უფრო სწრაფად წავიდნენ წინ ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გზით.

ტაშის გრიალს, რომელიც დღეს მოსკოვის საუკეთესო თეატრების დარბაზებში გაისმის და რომელსაც რადიო მთელ ჩვენს ქვეყანას, მთელ მსოფლიოს მოჰფენს, — სიამოვნებით, სიხარულით, გულის ძგერით მოისმენს მთელი ქართველი ხალხი. ფიქრით, გრძნობით, მთელი არსებით დღეს ქართველები თავიანთ წარგზავნილებთან არიან, იზიარებენ მათს სიხარულს, ამხნევებენ მათ შემოქმედებითი გმირობისათვის.

მხურვალე სალამი დეკადის მონაწილეებს!

დაე კიდევ უფრო აყვავდეს და გაიფურჩქნოს ქართული სოციალისტური კულტურა!

გალაკტიონ ტაბიძე

საქართველოს სახალხო პოეტი

დეკადის დროშები

სულოვანნი ვართ,
და სწორედ ახლა,
ცხრაას ჩვიდმეტმა
რომ კანაახლა
სამშობლო—
გვმართებს
კვლავ ვასახელოთ.
ამხანაგებო,
დროშები მაღლა!

უდიადესი
გრძნობა, სიახლე
ლენინის გულმა
აქ დაასახლა—
მრავალზე მრავალს
უხმობს მომავალს:
ამხანაგებო,
დროშები მაღლა!

ატომი? მაგრამ
ჰასუხიც გასლავთ:
ვადიდოთ შრომა,
დავმკვიდროთ დაღლა.
კაცობრიობის
მშვიდობისათვის—
დროშები მაღლა,
დროშები მაღლა!

ნახატი რ. სტურუასი.

НИКОЛАЙ ТИХОНОВ

РУКИ СБОРЩИЦЫ ЧАЯ

(Из цикла „Стихи о Грузии“)

Я видел их не на полях сражений,
То был труда обычного пример —
В колхозе, что не знает поражений,
Который все зовут миллионер.

Как будто бы играли руки эти
С зелеными листочками, скользя
По веточкам, нежней всего на свете,
Лишь смуглоту я этих рук приметил,
Но быстроту их описать нельзя.

Быть может, так вот пальцы пианистки
По клавишам летая наизусть,
Как ласточки срезают низко-низко
Мелодии заученную грусть.

И падают и падают в корзину
Дождем зеленым все на тот же круг
Листочки с легких жилок паутиной,
Как ста ножами срезанные вдруг.

Как ласточки над темным чайным морем
Летают руки в этой жаркой мгле
Кустов зеленых спящих на просторе,
На раскаленной добела земле.

И руки те — в Москве ли величавой
Или в ферганской дальней чайхане, —
Я вижу их под солнцем нашей славы,
Их закалившим в трудовом огне.

ხალხთა მეგობრობის მკაფიო მაგალითი

ირაკლი აბაშიძე

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გამოაღვიძა მეფის რუსეთის ჩაგრული ხალხები, საშუალება მისცა მათ ეყოვნებინათ ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. საბჭოთა ხალხის მრავალმხრივ შემოქმედებითს შრომასთან ერთად განმტკიცდა ხალხთა ლენინური მეგობრობა.

რაც გაჩენიდან ათასწლეული
ქართველს აზრი აქვს და
მახსოვრობა,
სიზმრად ჰქონია გადაქცეული
ქვეყნად შშვიდობა, თანასწორობა.
ორივ ოცნება ჩვენს დროს შეერთდა
ჩვენთვის დიდებად და სასახელოდ
დღეს კომუნიზმის კარიბჭეებთან
ძლევამოსილად დგას საქართველო.

მართალია, ქართველი ხალხის მოწინავე წარმომადგენლებს ყოველთვის ახლო მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ რუსეთის მოწინავე ადამიანებთან, მაგრამ ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პიროვნული“ ხასიათის მეგობრობა. დღეს კი სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა ყველა პირობა ხალხთა ჰეშმარიტი მეგობრობისათვის. ამ დიადი მეგობრობის ცოცხალი მაგალითია მოკავშირე რესპუბლიკათა ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადები, რომლებიც მოსკოვში სისტემატურად იმართება.

მოსკოვის საზოგადოებრიობამ თავის სცენებზე და აუდიტორიებში თითქმის ყველა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლები იხილა.

ჩვენი რესპუბლიკაც პირველად არ მიდის მოსკოვს თავისი ხელოვნებისა და ლიტერატურის საჩვენებლად. მაგრამ ჩვენს ახლანდელ დეკადას უფრო ფართო ასპარეზი აქვს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოსავლინებლად.

წინანდელ დეკადებს საზეიმო, პარადული ხასიათი ჰქონდა. ახლა კი ადრინდელმა საზეიმო განწყობილებამ ადგილი დაუთმო მოსკოვის მაყურებლის მომთხოვნ, კრიტიკულ დამოკიდებულებას. მოსკოვის მაყურებელი და მკითხველი დაუფარავად, რაიმე შეღავათის მოუცემლად იტყვის თავის საქმიან სიტყვას. მოსკოვი მსოფლიო თეატრალური კულტურის ცენტრია. იქ ხელოვნების საქმის დიდი სპეციალისტები არიან, რომლებიც კარგად იცნობენ ქართული ხელოვნების ტრადიციებსაც და, რასაკვირველია, მას ძალიან ბევრს მოსთხოვენ. ასევე ითქმის ლიტერატურაზეც.

ქართველი ხალხი დიდი ინტერესით მოელის დეკადას მოსკოვში. მართლაც იგი ამ დეკადაში თავისი ღირსებისა და სახელის საქმეს ხედავს.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხალხის მთრთოლვარე დამოკიდებულება, განუსაზღვრელი გულისყური მისი მოწინავე ადამიანებისადმი, რა დარგშიც უნდა მუშაობდნენ ისინი, სამაგალითოა. ხალხი პირდაპირ ეძებს თავის საყვარელ გმირებს ცხოვრების ყოველ დარგში, ელვის სისწრაფით აიტაცებს ხოლმე მათს გვარებს. წუთში მოედება ხოლმე ქვეყანას ახალგაზრდა მეცნიერის თუ სპორტსმენის სახელი, რომელმაც უცხოეთში გამარჯვება მოიპოვა და მოწინააღმდეგე დაამარცხა.

ასეთი განსაკუთრებული ყურადღება, ასეთი მზურვალე სიყვარული მოწინავე ადამიანებისადმი მართლაც ბევრს ავალებს ყოველ ადამიანს, ვისაც კი თავისი თავი ამ ქვეყნის შვილად მიაჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მოსკოველი ამხანაგებიც გულზე ხელდაკრეფილი როდი გველოდებიან. ისინი დიდი **ხანია ემზადებიან ჩვენს შესახვედრად. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს** ის დიდი კეთილშობილური შრომა, რომელიც ჩვენმა მეგობრებმა, რუსმა მწერლებმა გასწიეს ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლების რუსულად თარგმნის საქმეში. ასევე უნდა აღინიშნოს მოსკოვის გამომცემლობათა მუშაკების ფასდაუდებელი სამსახური, რომელიც მათ ქართველი მწერლების წიგნების გამოცემაში გაგვიწიეს. დეკადისათვის მოსკოვში გამოვიდა 50-მდე წიგნი, ჩვენი კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშები.

ქართულ ლიტერატურას დიდი და მდიდარი ტრადიციები აქვს. მრავალი ქართველი კლასიკოსი და თანამედროვე მწერალი დღეს საერთაშორისო პოპულარობით სარგებლობს. ქართული მწერლობის ძირითადი თემა ყოველთვის კაცთმოყვარეობა, ძმობა, მეგობრობა, თავდადება და სიყვარული იყო.

ქართველი მწერლები ყოველთვის ეხმაურებოდნენ კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ბრძნულ მოწოდებებს. ჩვენს მწერლობაში ნათლად აისახა საბჭოთა ხალხის ის დიდი შემოქმედებითი გამარჯვებები, რომლებიც ჩვენმა სამშობლომ მოიპოვა კომუნიზმისაკენ მიმავალ დიად გზაზე.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ძუშაკები მთელი ქართველი ხალხის სახელით წარსდგებიან ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, რათა ერთხელ კიდევ უჩვენონ ქართველი ხალხის მაღალი კულტურა, ერის დაუშრეტელი **შესაძლებლობანი.**

ქართველ მწერალთა წიგნების თარგმანები

წიგნები, რომლებსაც საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ უშვებს, 50, 75 და 100 ათასი ცალი ტირაჟებით საღდება. ბევრი ჩვენი წიგნი მკითხველმა ნამდვილად შეიყვარა და მათი არაერთგზის ხელახლა გამოცემა გვიხდება, ხოლო კრებული „ქართული ხალხური ზღაპრები“, რომელიც ქართული ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებს შეიცავს, 300 ათასი ცალის რაოდენობით გასაღდა.

„ზარია ვოსტოკამ“ დეკადისათვის გამოუშვა ქართული კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენელთა — ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ა. ყაზბეგის, გ. წერეთლის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, ე. გაბაშვილის, ნ. ლომოურის, ა. ერისთავ-ბოშტარიას ნაწარმოებთა გადამუშავებული და უფრო სრულყოფილი თარგმანები.

პროფესორ შ. ი. ამირანაშვილის დიდი, უხვად ილუსტრირებული შრომა მკითხველებს გააცნობს შესანიშნავ ოქრომჭანდაკებლების, XII საუკუნის სახალხო ოსტატების ბეჭა და ბეშქენ ოპიზარების ნამუშევრებს.

თანამედროვე ქართული პროზა დეკადაზე წარმოდგენილი იქნება ოცდაათზე მეტი წიგნით გამოვიდა ლ. ქიაჩელის, კ. გამსახურდიას, კ. ლორთქიფანიძის, ა. ქუთათელის, ა. ბელიაშვილის, პ. ლორიას, ა. ჭეიშვილის, ა. ლისაშვილის, ს. კლდიაშვილის, ე. ზედგინიძის და სხვ. ნაწარმოებები.

გამოვიდა თანამედროვე დრამატურგების პოლიკარპე კაკაბაძისა და მიხეილ მრევლიშვილის პიესების ორი კრებული.

მოთხრობათა ახალი კრებულებით წარმოდგენილი არიან მწერლები ბ. ჩხეიძე, ა. ბელიაშვილი, გ. ჩიქოვანი, გ. ნატროშვილი, ა. ლომიძე, ი. ურჯუმელაშვილი, თ. გოგოლაძე, რ. ინანიშვილი, ა. ზურაბოვი და სხვ.

პოეტებმა გიორგი ლეონიძემ, სიმონ ჩიქოვანმა, ირაკლი აბაშიძემ, ალიო მირცხულავამ, იოსებ ნონეშვილმა, ხუტა ბერულავამ და სხვ. სამშობლოზე დაწერილ ლექსებთან ერთად თავიანთ ერთტომეულებში შეიტანეს ახალი ნაწარმოებები დიდ ჩინეთზე, მომზე რესპუბლიკებზე — ჩეხოსლოვაკიაზე, პოლონეთზე, უნგრეთზე, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებზე.

გამოცემულ წიგნებს შორის არის ა. აბაშელის, ტ. ტაბიძის, დ. გულიას, კ. ჭიჭინაძის, ილო მოსაშვილის, ი. თარბას, გ. აბაშიძის, ბ. შინკუბას, მ. მრევლიშვილის, მ. ბარათაშვილის, მ. მაჭავარიანის, მარიჯანის, გ. შატბერაშვილის, გ. ელსნერის, გ. სალუქვაძის, მ. ქვლივიძის, რ. ასავის, ო. ჭელიძის, ა. სულაკაურის, გ. მაზურინის, ნ. კილასონიას და სხვ. ლექსები.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების დასაწყისში დამყარდა ქართველი პოეტების სისტემატური შემოქმედებითი მეგობრობა რუსული ლექსის მთელ რიგ გამოჩენილ ოსტატებთან, მათ შორის რუსული პოეზიის დიდ წარმომადგენლებთან — ნიკოლოზ ტიხონოვთან, ბორის პასტერნაკთან და ნიკოლოზ ზაბოლოცკისთან ამ მეგობრობამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო და ამჟამად ჩვენ შევძელით მოგვემზადებინა კრებული ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიისა ნ. ტიხონოვის, ბ. პასტერნაკისა და ნ. ზაბოლოცკის თარგმანებით.

ქართული პოეზიის თარგმანზე მუშაობს ათობით თვალსაჩინო რუსი პოეტი — პ. ანტოკოლსკი, ა. ტარკოვსკი, ვ. დერჟავინი, მ. ლუკონინი, ა. მეჟიროვი, მ. მაქსიმოვი, ე. ევტუშენკო, ლ. მარტინოვი, მ. სვეტლოვი, ბ. სერებრიაკოვი, ე. ნიკოლაევსკაია, ი. სნეგოვა, ვ. ზვიაგინცევა და სხვ.

მხატვრული პროზის თარგმნაზე ნაყოფიერად მუშაობენ ე. ანანიაშვილი, ე. ღოღობერიძე, ფ. თვალთვაძე, ნ. ჩხეიძე, ბ. კორნეევი, მ. კახიძე, ე. ბაგრატიონი, ვ. კირეევა, ნ. აკერმანი, ვ. ორჯონიკიძე და სხვ.

წიგნები, რომლებიც ჩვენ ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის დარგში ვუშვებთ, ასახავენ ქართველი ლიტერატორების მრავალმხრივ მუშაობას რუსთაველის, პუშკინის, გრიბოედოვის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, მაქსიმ გორკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის დარგში, სოციალისტური რეალიზმის ძირითადი საკითხების შემუშავების საქმეში.

სულ დეკადისათვის გამოშვებულ იქნა ასზე მეტი წიგნი.

მ. ზლატკინი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების გამომცემლობის „ზარია ვოსტოკას“ დირექტორი.

ეროვნული ფორმით სოციალისტური კულტურა

ქართული წიგნი

შორეული წარსულის წიაღშია ქართული კულტურის ფესვები. რაც ჩვენს ხელთ წიგნსა აქვს ახლოკლე ისტორია. 329 წელი გვაშორებს პირველი ქართული წიგნის აწყობის დღეს. უხსოვარი დროიდან მწიგნობარ ქართველს ტრატზე გადაჰქონდა ლამაზი ლექსი და მოთხრობა. მაშინ არ იყო ქაღალდი და სტამბა. 1629 წელს დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი. ოქტომბრის რევოლუციამდე, ე. ი. ჩვენში ბეჭდვითი წიგნის არსებობის თითქმის სამასი წლის განმავლობაში 6.203 ქართული წიგნი გამოვიდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ აღგავა ძველი საქართველოს ავბედითობა და სიღუხჩირე და ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან მატიანეში ნედნიერი ცხოვრების ახალი ფურცლები ჩაწერა. აყვავდა ქართული კულტურა, გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ ჩვენი საგამომცემლო საქმე. გაიზარდა ართველ მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა რეზონანსი. წიგა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის, ჩვენი ინტელიგენციის იდეური და მხატვრული ამაღლების, მკითხველთა გაზრდილი მოთხოვნილებების სურათი ნათლად ჩანს გამომცემლობათა მუშაობის ციფრობრივი მონაცემებიდან. 1921-დან 1957 წლამდე გამოცემული ქართული წიგნების საერთო ტირაჟმა 194 მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა. თუ 1913 წელს ქართული წიგნის საშუალო ტირაჟი 2.000 ცალი იყო, 1953 წლისათვის ამ ციფრმა 6.000-ს მიაღწია.

თანამედროვე ქართული მწერლობის პოპულარობის მანიშნებელია მისი საუკეთესო წარმომადგენლების — მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, სერგო კლდიაშვილის, იოსებ გრიშაშვილის ორასათასიანი ტირაჟები. ქართველ მკითხველს ხელთა აქვს ცნობილი ქართველი პოეტების გალაკტიონ ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ილო მოსაშვილის, კარლო კალაძის, სანდრო შანშიაშვილის და სხვათა ლექსებისა და პოემების 20-ზე მეტი გამოცემა, ხოლო შალვა დადიანის, ნიკო ლორთქიფანიძის, აკაკი ბელიაშვილის, ალექსანდრე ქუთათელის, დემნა შენგელაიას, რაჟდენ გვეტაძის და სხვათა ნაწარმოებების საერთო საშუალო ტირაჟი 150.000 ცალს სჭარბობს.

ბევრმა ქართველმა მწერალმა ისეთი სახელი და პოპულარობა მოიხვეჭა ჩვენს დიად სამშობლოში, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე გამოსული მათი წიგნების ტირაჟები ხშირად მრავალჯერ აღემატება საქართველოში გამოცემული წიგნების ტირაჟს. მაგალითად, ლეო ქიაჩელის რომანები და მოთხრობები საქართველოში 230.000 ცალად გამოვიდა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე კი 700.000 ცალზე მეტია გაძოცემული. ასევეა სიმონ ჩიქოვანის, იოსებ გრიშაშვილის, შალვა დადიანის, იაკინთე ლისაშვილის, ალექსანდრე ჭეიშვილის და ბევრი სხვა მწერლის პოეზია და პროზა — მოძმე რესპუბლიკებში გამოსული ამ წიგნების ტირაჟები არაიშვიათად სჭარბობს საქართველოს გამოცემათა ტირაჟებს.

ჩვენი რესპუბლიკის გამომცემლობები და პოლიგრაფიული საწარმოები დიდ მუშაობას ეწევიან ჩვენი ეროვნული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების გამოსაცემად.

ბიოგრაფი ლეონიძე

დეკადის მონაწილეებს

ჩვენ — შოთას ძღვნად
ვწერეთ ლექსი,
ჰანგი ვატკბეთ, სიტყვა ვმედეთ,
და გვინდა, რომ უკეთესი
დღეს მერანი გაგვიჭენდეს!
მიჰქრის იმ დიდ სარბიელზე,
რასაც ხალხის ძმობა ჰქვიან,
არა ბრძოლის —
ძმობის ველზე

ქართლის რაში როგორც ტყვია...
უნდა გასჭრას მთების ჯანღი,
გაარღვიოს გადავიდეს, —
გაიტანოს ჩვენი ჩანგი,
ჩვენი ღელვა ქვეყნის კიდეს.
დღესაც უნდა გავიმარჯვოთ
გულის ცეცხლის დაკვესებით,
ნიჭის ოქრო დაიხარჯოს —
ყალმის, კალმის და ლექსების.
დღესაც უნდა მოირთველოს
თვისი ღვაწლი საქართველომ,
მეტი შუქი აელვაროს,
ვიდრე ძველათ დააფრქვია,
დღეს თვითეულ მონაწილეს —
ყველას — ჩვენი დროშა ჰქვიან!
უნდა იმ დიდ სიყვარულზე,
ამოვიდეს ძმობის ვარდი,
რომ ის ვარდი სულ ჰყვაოდეს
ქართლის ბაღში უცვლელ ვადით.
მიჰქრის,
მიჰქრის,
მიაჭენებს
ფრთა შესხმული ქართლის რაში...
ვერაფერი შეაჩერებს
სამშობლოს ხმას სიმღერაში.
თქვენ გისურვებთ ვაშას სთვლიდეთ
დიდ მოსკოვში,
დებო,
ძმებო,
ვარდფენილ გზით ჩამოხვიდეთ
საამაყოდ, საოცნებოდ —
დიდ სახელის გატანისთვის
შუბლზე დაფნა შეგაგებოთ!

კლასიკოსთა გიგლიოთეკა

ყველასათვის ცნობილი ამბავია, რა დაბალ დონეზე იდგა საგამომცემლო საქმე რევოლუციამდელ საქართველოში. ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა და ვაჟა-ფშაველას მრავალ წერილსა თუ შენიშვნაში დიდი გულისტკივილით არის აღნიშნული „რა მძიმე პირობებში უხდებოდა ქართველ მწერალს მუშაობა და რავგარ ადამიანებთან ჰქონდა საქმე“.

1909 წელს ერთ-ერთი „უმაღური გამომცემლის“ შესახებ ვაჟა-ფშაველა წერდა: „ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოეხადა ჩემთან იმ უზრდელობა-თავხედობისათვის, რაც მან ჩაიდინა, მიპასუხა: „თქვენთვის ის ორი თუმანიც რ უნდა მომეცა, რაც მოგეცითო“.

წლების განმავლობაში ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები გაფანტული იყო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მათი ერთად თავმოყრა და აკადემიური გამოცემა დიდხანს ვერ მოხერხდა. ქართველ მკითხველს საშუალება არა ჰქონდა ტომებად ეხილა საყვარელ მწერალთა თხზულებები.

თუ როგორ შეიცვალა ვითარება ამ მხრივ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ, ამის საილუსტრაციოდ მივმართოთ ქართველ ბიბლიოგრაფთა ცნობებს.

1913 წელს ქართული წიგნის საშუალო ტირაჟი 2 ათასი ცალი იყო, ხოლო 1953-1957 წელს — 6.000 ცალი. რევოლუციამდე მხოლოდ იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ გამოდიოდა დიდი ტირაჟით, როგორც ერთადერთი პირველდაწყებითი ქართული წიგნი. გოგებაშვილის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ მოხერხდა. ქართველ საზოგადოებას დღეს უკვე საშუალება აქვს საფუძვლიანად გაეცნოს ამ დიდი პედაგოგის თითქმის ყველა ნაშრომს. საბჭოთა პერიოდში ქართველ კლასიკოსთა თხზულებანი ასეულ ათასობით ცალად გამოდის. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის თხზულებანი 83-ჯერ გამოიცა — 700.000 ტირაჟით, აკაკი წერეთლისა 66-ჯერ ნახევარი მილიონი ტირაჟით, ეგნატე ნინოშვილისა 46-ჯერ 372 ათასი ტირაჟით, ალექსანდრე ყაზბეგისა 34-ჯერ 360 ათასი ტირაჟით, დავით კლდიაშვილისა 26-ჯერ 173 ათასი ტირაჟით, დანიელ ჭონქაძისა 15-ჯერ 154 ათასი ტირაჟით, გიორგი წერეთლისა 15-ჯერ 125 ათასი ტირაჟით, ნიკო ლომოურასა 21-ჯერ 115 ათასი ტირაჟით, შიო არაგვისპირელისა 15-ჯერ 109 ათასი ტირაჟით.

რევოლუციამდე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სულ რამდენიმე გამოცემა არსებობდა. საბჭოთა პერიოდში კი „ვეფხისტყაოსანი“ 26-ჯერ გამოიცა 247 ათასი საერთო ტირაჟით, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებები — 14-ჯერ 102 ათასი ტირაჟით.

რაოდენ გახარებული იქნებოდა დღეს ვაჟა-ფშაველა, მრავალ „უმაღურ გამომცემელთაგან“ შეწუხებული, რომ მოსწრებოდა ახალ საქართველოს, სადაც მისი თხზულებები გამოიცა 34-ჯერ თითქმის ნახევარი მილიონი ტირაჟით.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება

მოსკოველი მწერლები ინტერესით ელიან ქართულ დეკადას. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ეს დეკადა გვიჩვენებს საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრ ახალ და უდავო მიღწევას. დეკადა იქნება ჩვენი ხალხების დიდი ხნის მეგობრობის ახალი დემონსტრაცია. ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკები გაუზიარებენ ურთიერთს თავიანთი შემოქმედებითი მუშაობის გამოცდილებას. მეგობრები ბევრს შესძენენ ერთმანეთს, შეაჯამებენ წარსულს და დასახავენ მომავლის ახალ გზებს.

დადგა დრო, როდესაც ჩვენ, საქართველოს რუსი მეგობრები, ანგარიშით უნდა წარვდგეთ საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე. ვფიქრობ, რომ საქართველოს პირველი დეკადის შემდეგ განვლილი დროის მანძილზე ჩვენ ცუდად არ გვიმუშავია. კერძოდ, საბჭოთა მკითხველი მიიღებს ახლად დამუშავებულ „ქართული პოეზიის ანთოლოგიას“. გარდა ამისა, მოსკოვის გამომცემლობების მიერ გამოცემულია ქართული პროზაიკოსებისა და პოეტების რუსულად თარგმნილი ათობით წიგნი.

პირადად ჩემი მუშაობის შედეგია ორი გამოცემა. წარსული წლის დამდეგს მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ჩემ მიერ შესრულებული ახალი თარგმანი. წიგნი კარგადაა გამოცემული და ს. ქობულაძის ილუსტრაციებით დამშვენებული.

„ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობა სადეკადოდ სცემს ჩემს მიერ თარგმნილ „ქართული კლასიკური პოეზიის“ ორტომეულს, რომელზეც მრავალ წელს ვიმუშავე. აქ მკითხველი გაეცნობა საქართველოს სუკეთესო კლასიკოსი პოეტების თარგმანებს — შოთა რუსთაველიდან ვაჟა-ფშაველამდე.

ვიმედოვნებ, რომ დეკადის მონაწილენი გამოთქვამენ თავიანთ აზრს ამ ნაშრომებზე. მაშ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მოსკოვში, ძვირფასო ქართველო მეგობრებო! ჩვენი სახლის კარი ფართოდ არის ღია თქვენთვის.

ნ. ზაბოლოცკი.



ცეკვა «ქართული»

რა არის ცეკვა „ქართული?“.

განსაზღვრული იდეა, რომლის განსახორციელებლადაც სათანადო ტექნიკაა გამოყენებული. მისი დედაარსი? — ტრფიალება! ცეკვა „ქართული“ მთლიანი პოემაა ტრფიალებისა. მას აქვს სათანადო დასაწყისი — „შორით ბნედა, შორით ალვა“; მას აქვს განვითარება — „კაცსა მიხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა“; მას აქვს დასასრული — „სიყვარული აგვამაღლებს“. გახსოვდეთ, ცეკვა „ქართული“ ისე იწყება, ისე ვითარდება და ისე მთავრდება, რომ ვაჟი ქალს არც ერთხელ არ ეხება, მხოლოდ დამთავრების სურათი გვიჩვენებს, რომ მათი ბედი გადაწყვეტილია, ისინი უნდა შეერთდნენ. და რამდენადაც წადილთა საწყაული აღუვსებელია, იმდენად მწვავეა და ცეცხლოვანი ის გრძნობები, ქალ-ვაჟს რომ უკიდია. არც ერთ ევროპულ საცეკვაოში, — მაზურკა გინდათ, პოლონეზი, ვალსი, ჩარდაში, თუ კრაკოვიაკი და სხვა, — ეს კდემამოსილება და ამავე დროს აღვირამოდებული გახელებული ვნება არ არის ერთად შეთავსებული. ყველა ეს საცეკვაო იმით იწყება, რომ ქალ-ვაჟნი უკვე ხელჩაკიდებულნი გამოდიან სათამაშოდ. მაშასადამე, წადილთა საწყაულში წადილთა დაოკების რამდენიმე წვეთი უკვე ჩაწვეთებულია. და ეს იმიტომ არის, რომ ის საცეკვაოები — საცეკვაოებია, „ქართული“ კი — პოემაა ტრფიალებისა.

დიახ! ცეკვა „ქართული“ ჩვენი ხალხის კულტურის დიდი ძეგლია. იგი თვით ხალხმა შექმნა.

ილია ზურაბიშვილი.

(წიგნიდან „ხალხის შემომქმედი გენია“).

ზ. კაპანაძის სადეკადო პლაკატი.

დიდი თეატრი მოგესალმებათ

დიდი თეატრის კოლექტივი ძმური მეგობრობის გრძნობით მიიღებს თავის კედლებში ძვირფას სტუმრებს, სოციალისტური საქართველოს ნიჭიერ მსახიობებს. ეჭვს გარეშეა, რომ დეკადა საბჭოთა ხელოვნების დიდ დღესასწაულად გადაიქცევა და ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაცია იქნება.

სსრ კავშირის დიდი თეატრის კოლექტივის სახელით—თეატრის დირექტორი **მ. ჩულაკი.**

სულითა და გულით გისურვებთ წარმატებას

მოსკოვის ხელოვნების მოღვაწენი მოუთმენლად ელიან საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დაწყებას ჩვენს დედაქალაქში.

ჩვენ მუდამ აღგვაფრთოვანებდა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა მაღალი მხატვრული დონე, კარგად ვიცნობთ ისეთი კომპოზიტორების მშვენიერ მუსიკას, როგორიც არიან ა. ბაღანჩივაძე, შ. მშველიძე, ო. თაქთაქიშვილი, ა. მაჭავარიანი, ს. ცინცაძე, რ. გაბიჩვაძე, დ. თორაძე, მოვხიბლულვართ ისეთი მხატვრის ნაწარმოებებით, როგორიც არის ს. ვირსაძე, არაერთხელ დავუპკრივართ ისეთი შესანიშნავი მოცეკვავის შემოქმედებას, როგორიც ვ. ჭაბუკიანია... ამიტომ ასე დარწმუნებით ვეღით ბევრ საინტერესოს, რასაც ვნახავთ და გავიგონებთ დეკადის დღეებში.

საბჭოთა კულტურის საგანძურში ქართული ხელოვნების წვლილი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. უფრო მნიშვნელოვანს ვნახავთ მომავად დეკადაზე ახალი მარგალიტების სახით. სიხარულით ვხვდებით ქართველ ამხანაგებს და სულით და გულით ვუსურვებთ მათ წარმატებას.

ი. მოისეევი,

სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

მდიდარი ტრადიციები

საქართველო უდიდესი მუსიკალური ტრადიციების ქვეყანაა. ქართველმა ხალხმა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი მუსიკალური ფოლკლორი, რომელიც თავისებური ორიგინალური მელოდიური, ჰარმონიული, რიტმული და სტრუქტურული კანონზომიერებით გამოირჩევა. თავისი მუსიკალური ნიჭი ქართველმა ხალხმა უმთავრესად ვოკალურ მუსიკაში და კერძოდ საგუნდო მრავალხმიანობის რთულ ფორმებში გამოავლინა. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ ქართული პროფესიული მუსიკის ჩასახვაც სწორედ საგუნდო კულტურასთან არის დაკავშირებული. დადგენილია, რომ ჯერ კიდევ IX-X საუკუნეებში საქართველოში არსებობდა მრავალი გუნდი სამეფო კარზე და ეკლესიებში, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ **პროფესიონალი ლოტბარები, მომზადებულნი სპეციალურ სამგალობლო სკოლაში,** იყვნენ აგრეთვე კომპოზიტორებიც, რომლებიც ქმნიდნენ საეკლესიო საგალობლების ნიმუშებს. ამ მხრივ ცნობილია X საუკუნის გამოჩენილი მუსიკოს-მოღვაწის **მიქელ მოდრეკილის მიერ შედგენილი** და ქართული სანოტო ნიშნებით ჩაწერილი საგალობლების დიდი კრებული. ქართული მუსიკა განსაკუთრებულ განვითარებას აღწევს XI-XII საუკუნეებში, ძველი საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ძლიერების ხანაში. მაგრამ შემდგომ ეპოქაში, განუწყვეტელი ომებისა და გამანადგურებელი შემოსევების შედეგად, რასაც საქართველოს ძლიერების დაცემა მოჰყვა, ქართული მუსიკის განვითარების ტემპი ძლიერ შეფერხდა. მხოლოდ XVIII საუკუნიდან იწყება **ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების** აღორძინება, რაც განსაკუთრებით დიდ აღმავლობას აღწევს XIX საუკუნეში. 1851 წელს თბილისში დაარსდა ოპერის თეატრი, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში.

ქართული მუსიკის უანგარო მოღვაწის ხ. სავანელის ინიციატივით 1873 წელს საფუძველი ჩაეყარა ამიერკავკასიაში პირველ სამუსიკო სკოლას, რომელმაც საპატიო როლი შეასრულა მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

მუსიკალური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი ა. მიზანდარი პირველი ქართველი პიანისტი ვირტუოზია, რომელიც წარმატებით გამოდიოდა კონცერტებზე როგორც თბილისში და პეტერბურგში, ისე ევროპის ქალაქებშიც, სადაც მან თვით გენიალური პიანისტის და კომპოზიტორის ფ. ლისტის ყურადღება და ქება დაიმსახურა.

პროგრესულ ქართველ მოღვაწეებს კარგად ესმოდათ ქართული ხალხური სიმღერის მნიშვნელობა, სავსებით სამართლიანად მიაჩნდათ იგი ქართული მუსიკალური კულტურის საფუძვლად, რომელზეც უნდა აღმოცენებულიყო ეროვნული კლასიკური მუსიკალური სკოლა. ამიტომაც მათ თავიდანვე ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს ხალხური სიმღერებისა და საგალობლების შესაკრებად. 70-იანი წლების დასაწყისში პეტერბურგში დაიბეჭდა დ. ერისთავის ქალაქური სიმღერების პოპური ფორტეპიანოსათვის, ხოლო 1878 წელს გამოვიდა პირველი ხალხური სიმღერების კრებული შედგენილი მ. მაჭავარიანის მიერ.

განსაკუთრებით დიდი წარმატებები ქართულმა მუსიკამ მოიპოვა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, როცა ასპარეზზე გამოვიდნენ ქართული კულტურის სასიქადულო მოღვაწენი მ. ბალანჩივაძე, ფ. ქორიძე, ზ. ჩხიკვაძე, ი. კარგარეთელი და ცოტა მოგვიანებით ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ნ. სულხანიშვილი, რომლებმაც ენერგიული მუშაობა გააჩაღეს ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისათვის.

პირველმა გამოჩენილმა ქართველმა მომღერალმა ბანმა ფ. ქორიძემ, რომელმაც მუსიკალური განათლება იტალიაში მიიღო და წარმატებით გამოდიოდა იტალიის, პეტერბურგის, ოდესის და თბილისის საოპერო თეატრების სცენებზე, რამდენიმე წლის განმავლობაში ჩაწერა 5.000-ზე მეტი საეკლესიო საგალობელი და ხალხური სიმღერა, რომელთა მცირე ნაწილი დაიბეჭდა კიდეც. 1886 წელს დაიბეჭდა ა. ბენაშვილის **მიერ ჩაწერილი ხალხური სიმღერების კრებული „ქართული ხმები“.**

დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა თავდადებული პატრიოტის, შესანიშნავი ორგანიზატორისა და ინიციატორის ღ. აღნიაშვილის მიერ ეთნოგრაფიული გუნდის ჩამოყალიბება, რომლის პირველ კონცერტსაც (1886 წლის 15 ნოემბერს) პროგრესული საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეეგება.

პირველ ქართველ ვიოლინისტ-შემსრულებელს, კომპოზიტორ ა. ყარაშვილს ეკუთვნის პრიორიტეტი პირველი ქართული კამერული ნაწარმოებების შექმნის საქმეში. მას დაწერილი აქვს რამდენიმე პიესა ვიოლინოსათვის, კამერული ანსამბლი და საგუნდო ნაწარმოებები; მაგრამ მისი შემოქმედებიდან ყველაზე პოპულარულია რომანსები „ისევ შენ და ისევ შენ“, „დავრდომილი სნეული“ და ცნობილი პატრიოტული სიმღერა „სამშობლო“.

მეტად მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა ია კარგარეთელი. იგი ქართულ ენაზე საოპერო სპექტაკლების დადგმის ინიციატორია, თარგმნის „დემონს“, „სევილიელ დალაქს“, აქტიურ მონაწილეობას იღებს მათ დადგმაში, იწერს ხალხურ სიმღერებს და ბეჭდავს კრებულების სახით, ენერგიულად მოღვაწეობს პრესაში და წერს შრომებს ქართული მუსიკის შესახებ; ეწევა შემოქმედებით მუშაობასაც. მისი რომანსები „მშვენიერთა ხელმწიფავ“, „შენ რაღას ფიქრობ, არაგვო“ და სხვ. დღესაც წარმატებით სარგებლობენ.

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ფილარმონიული საზოგადოების შექმნა, რომლის ინიციატორებიც იყვნენ ზ. ჩხიკვაძე, ია კარგარეთელი და ა. ყარაშვილი. საზოგადოების საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე ზ ფალიაშვილი, პ. მირიანაშვილი, ნ. ქართველიშვილი და სხვ.

მე-19 საუკუნის დასასრულისათვის გამოდის რუსი მუსიკოსების ქრ. გროზდოვის და მ. იპოლიტოვ-ივანოვის **ქართული ხალხური სიმღერების კრებულები.** მნიშვნელოვანი მხატვრული და მეცნიერული ღირებულებით გამოირჩევიან ამავე პერიოდში დაბეჭდილი ზ. ჩხიკვაძისა და ია კარგარეთელის სიმღერების კრებულები.

მაგრამ ქართული ხალხური სიმღერების შეკრების საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართული მუსიკის კლასიკოსებს ზ. ფალიაშვილსა და დ. არაყიშვილს, რომლებმაც მოიარეს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე და ჩაწერეს ასობით ხალხური სიმღერა. დ. არაყიშვილმა ეს მასალა გამოსცა მოსკოვში ეთნოგრაფიული კომისიის შრომებში. რაც მთავარია, მან **ამ სიმღერებს თან დაურთო მეცნიერული ხასიათის** ნარკვევები. სადაც პირველად ქართული მუსიკის ისტორიაში მოგვცა ხალხური სიმღერების საფუძვლიანი ანალიზი, რითაც საფუძველი ჩაეყარა **ქართული მუსიკის მეცნიერულ ფოლკლორისტიკას.**

XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის ქართული მუსიკა დიდ აღმავლობას განიცდის. სწრაფად იზრდება ქართველ პროფესიონალ მუსიკოსთა ლაშქარი. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ეროვნული საშემსრულებლო სკოლა მისი ბრწყინვალე წარმომადგენლების დირიჟორ ივ. ფალიაშვილის, მომღერლების ვ. სარაჯიშვილის, ს. ინაშვილის და ო. ბახუტაშვილის მეთაურობით. მომზადდა ნოყიერი ნიადაგი ქართული ეროვნული კლასიკური მუსიკალური სკოლის შექმნისათვის, რომელიც ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ვ. დოლიძისა და ნ. სულხანიშვილის შემოქმედებასთან არის დაკავშირებული.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდა ქართული მუსიკა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ქართველმა საბჭოთა კომპოზიტორებმა შემოქმედებითად განავითარეს ქართული მუსიკის კლასიკოსთა ტრადიციები და შექმნეს მაღალმხატვრული მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებსაც საპატიო ადგილი უჭირავთ ჩვენი სოციალისტური **ქვეყნის მდიდარ კულტურულ საგანძურში.**

მინდია ჟორდანია.

ქართველი მომღერლები რუსულ სცენაზე

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. დეკადაზე მოსკოვის საზოგადოებრიობა გაეცნობა იმ მიღწევებს, რომლებიც მოპოვებული გვაქვს უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, გაეცნობა კომპოზიტორებს, მხატვრებს, მსახიობებს, დეკადაზე გამოვლინდება ჩვენი ხელოვნების დონე.

უნდა ითქვას, რომ დეკადის გარეშეც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების საზოგადოებრიობა, მართალია, არა ასე სრულად, მაგრამ მაინც ეცნობოდა და ეცნობა ქართველ შემსრულებლებს, ქართველ ხელოვანთა ნაწარმოებებს. ამ მხრივ თვალსაჩინოა ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის ქართველ მომღერლებს.

ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე რუსეთის საზოგადოებრიობა ტკბებოდა ვანო სარაჯიშვილის მომაჯადოებელი ხმით, ვანოს სახელთან არის დაკავშირებული ქართველ მომღერალთა აღიარება, როგორც მაღალპროფესიული საოპერო მოღვაწეებისა. მას შემდეგ რუსეთის საოპერო თეატრების სცენაზე არა ერთი ქართველი მომღერლის სახელი ჩნდება. სანდრო ინაშვილი, ნიკო ქუმსიაშვილი, დიმიტრი მჭედლიძე, დავით ბადრიძე, ვლადიმერ კანდელაკი, სერგო გოცირიძე, ნადეჟდა ცომაია, ეკატერინე სოხაძე, მერი ნაკაშიძე, დავით გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი, ბათუ კრავეიშვილი, მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, კიევის, ხარკოვის და სხვა ქალაქების საოპერო თეატრებში მუშაობდნენ როგორც წამყვანი საოპერო მომღერლები. ქართველ მომღერალთა საგასტროლო წარმოდგენები ხომ ჩვეულებად არის ქცეული. სხვა ქართველ მომღერლებთან ერთად რამდენიმე სეზონი მოსკოვის თეატრების სცენაზე ამ სტრიქონების ავტორსაც უმუშავნია. სტანისლავსკის საოპერო სტუდიაში, 1927-29 წლებში, სადაც კონსტანტინე სერგის-ძე სტანისლავსკის ხელმძღვანელობით იდგმებოდა „ბოჰემა“, „ბორის გოდუნოვი“, „მაისის ღამე“ მე ვასრულებდი რუდოლფის, ცრუ დიმიტრისა და ლევკოს პარტიებს. შემდეგ მოსკოვის დიდმა თეატრმა მიმიწვია 1933 წელს. აქ დავყავი 1936 წლამდე.

დიდ თეატრში იმ წლებში ახალი წარმოდგენები შეიქმნა — „ჰუგენოტები“ და „ტრუბადური“, ამ ოპერებში ვასრულებდი რაულ დე ნანჟისა და მანრიკოს პარტიებს. „ჰუგენოტებს“ დირიჟორობდა ა. მელიქ-ფაშაევი—წარსულში თბილისელი მუსიკოსი, დამდგმელი იყო ნ. სმოლიჩი. „ტრუბადურს“ დირიჟორობდა ვ. ნებოლსინი, დამდგმელი იყო ქართველი რეჟისორი ც. შარაშიძე. ამას გარდა სისტემატურად გამოვდიოდი დიდი თეატრის სპექტაკლებში „აიდასა“, „კარმენსა“ და „პიკის ქალში“.

1937 წელს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე ქართველ მომღერლებს დიდი წარმატება ხვდათ წილად. სცენის გამოჩენილი რუსი მოდგაწენი მაღალ შეფასებას აძლევდნენ ჩვენი მომღერლების არაჩვეულებრივად ლამაზ, მდიდარ ხმას, დიდ სამსახიობო ოსტატობას, დახვეწილ მუსიკალობას (ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ნიკო ქუმსიაშვილი, ეკატერინე სოხაძე, მერი ნაკაშიძე, ნადეჟდა ცომაია, სანდრო ინაშვილი, პეტრე ამირანაშვილი, დავით გამრეკელი, მიხეილ ყვარელაშვილი, შალვა ცირღილაძე, ვ. ხამაშურიძე).

წლევანდელი დეკადისათვის ჩვენს საოპერო თეატრს წამოეზარდა მომღერალთა ახალი თაობა, რომელიც კვლავ ასახელებს ქართულ ვოკალურ კულტურას. დეკადაში მიიღებენ მონაწილეობას ჩემი ყოფილი სტუდენტები, რომლებთანაც მე დღესაც განვაგრძობ მუშაობას — ზურაბ ანჯაფარიძე, გივი ტორონჯაძე, ლადო კანდელაკი, ამირან გაგუა და სხვები.

ჩემთვის, როგორც პედაგოგისათვის, განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ დეკადის შემდეგ ჩემი მოწაფე ზურაბ ანჯაფარიძე დარჩება სამუშაოდ დიდ თეატრში, რომლის მუშაკებთან ძე მაკავშირებს ხანგრძლივი შემოქმედებითი მეგობრობა.

დავით ანდღულაძე,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი.



საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი **ვერა წიგნაძე** — დეზდემონა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ვახტანგ შაბუკიანი** — ოტელო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო სპექტაკლ „ოტელოში“.

ქართველი ხალხის დიდი მეგობარეგი

გამოჩენილ რუს მხატვრებს აკადემიკოს ევგენი ლანსერეს და პროფესორ იოსებ შარლემანს დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული მხატვრობის განვითარების საქმეში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მათ თბილისის სამხატვრო აკადემიის შექმნაში, სადაც მრავალი წელი მუშაობდნენ ქართველი მხატვრების ახალგაზრდა თაობების აღზრდაზე.

ფართოდ აისახა მათს შემოქმედებაში საქართველო, რომელსაც ორივენი თავიანთ მეორე სამშობლოდ თვლიდნენ.

როდესაც ი. შარლემანი 1917 წელს საქართველოში ჩამოვიდა, ის უკვე სახელმოხვეჭილი მხატვარი იყო. საქართველოში იგი ეცნობა ქართველი ხალხის ცხოვრებას, სწავლობს მის წარსულს, მატერიალურ კულტურას, მოგზაურობს საქართველოს კუთხეებში—ქართლში, სვანეთში, ხევსურეთში. ი. შარლემანი აგროვებს მდიდარ მასალას, რის შემდეგ სრულიად თავისუფლად ჰკიდებს ხელს ქართული სინამდვილის ამსახველ თემებს. ქართული კულტურის ღრმა ცოდნა გამოამჟღავნა მხატვარმა ე. ნინოშვილის და ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებთა დასურათების დროს. ვ. ბარნოვის „გიორგი სააკაძის“ ილუსტრაციებში, გარდა საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი ცოდნისა, მან გამოამჟღავნა ეპოქის სტილის შესანიშნავი გრძნობა, ქართული ზნე-ჩვეულებებისა და ადათ-წესების ღრმა შეგრძნება. მხატვრის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ამსახველ სურათებს. „პუშკინი ჭავჭავაძესთან და ჩაადაევთან ერთად ცარსკოე სელოს პარკში“, „ი. ჭავჭავაძის გამოსვლა სახელმწიფო საბჭოში“, „ჩაიკოვსკი და მიზანდარი ბორჯომში“, „ლერმონტოვი მცხეთაში“ და სხვ.

ი. შარლემანმა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩამოაყალიბა გრაფიკის ფაკულტეტი და 35 წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა ქართულ ხელოვნებას.

ე. ლანსერე თბილისში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩამოვიდა და 15 წელი დაჰყო საქართველოში.

1922-1930 წლებში ე. ლანსერე დაუღალავად მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში და ზრდიდა ქართველ ახალგაზრდა მხატვრებს.

ი. შარლემანი და ე. ლანსერე ეკუთვნიან იმ რუს მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც შეესისხლხორცნენ ქართულ კულტურას და დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ხელოვნების განვითარების საქმეში.

გ. ლორთქიფანიძე.
ე. ალექსანდრია.

საქართველოს სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე — „გაცილება“ (ზეთი).

„ხელოვნება ხაღხს ეკუთვნის. იგი თავისი უღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულში უნდა მიდიოდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას. აზრსა და ნებისყოფას, აღაგზნებდეს მათ. იგი მათში მხატვრებს უნდა აღვიძებდეს და ავითარებდეს“.

ლენინი.



საქართველოს სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე — „ლენინი „ისკრის“ შექმნის პერიოდში“ (მარმარილო).

ვლით დეკადის გახსნას

ვლით მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის გახსნას ვიცით, რომ საქართველოს ხელოვნება თბილი, მგზნებარე, თვითმყოფადია, რომ მას საკუთარი სახე აქვს, რომ ის მრავალფეროვანი და მძაფრია.

მშვენიერია ქართული თეატრი და მუსიკა. აღმაფრთოვანებელია ცეკვები — ხალხურიც და საბალეტოც.

პირადად მე ძალიან მიყვარს ქართული ხალხური მუსიკა, მას თავისებური რიტმი და მომხიბვლელობა აქვს.

ჩვენ ვლით ქართველი მხატვრების მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იქნებიან უჩა ჯაფარიძე, ა. ქუთათელაძე, ს. ქობულაძე, ქ. მაღლაშვილი, კ. სანაძე.

ჩვენ ვლით გამოფენას, დეკადას, რათა მივესალმოთ ქართველ მხატვრებს და ერთმანეთს გავუზიაროთ აზრები ახალი საბჭოთა მხატვრობის შინაარსის, სიმდიდრის და ფორმების შესახებ, შევხვდეთ ჩვენს მეგობრებს, მოქანდაკეებს ნ. კანდელაკს, ვ თოფურიძეს, შ. მიქატაძეს, ს კაკაბაძეს და სხვებს.

ჩვენ ვლით დეკადას, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა ქვეყნის ხელოვნების ზეიმი იქნება.

ს. გერასიმოვი,
რსფსრ სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი.

ჩვენი ახალგაზრდა მხატვრები

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაში ჩვენი რესპუბლიკის სახელმოხვეჭილ მხატვრებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა ქართველი მხატვრები, რომლებიც ღირსეულად ხვდებიან საქართველოს ხელოვნების მიღწევათა ჩვენების ამ ღირსშესანიშნავ დღეებს. ფერმწერლები, მოქანდაკეები, გრაფიკოსები, კერამიკოსები თავიანთი ნამუშევრებით წარსდგებიან საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე.

ახალგაზრდა ქართველ მხატვართა შემოქმედება მრავალფეროვნად ასახავს ჩვენი ქვეყნის მშვენიერ სინამდვილეს. ხალხის შემოქმედებითი შრომა თუ ისტორიული ტილოები, ჩვენი სახელოვანი ადამიანების პორტრეტები თუ საქართველოს ულამაზესი ბუნების პეიზაჟები — ყველაფერი ეს აღელვებს ახალგაზრდა მხატვრებს და აძლევს სტიმულს შემდგომი შემოქმედებითი გამარჯვებებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავისადმი მიძღვნილ სახვითი ხელოვნების საიუბილეო გამოფენაზე მოსკოვში დიდი წარმატება ხვდა მთელ რიგ ახალგაზრდა მხატვრებს. მათ ნამუშევართაგან ბევრი სადეკადო ექსპოზიციაშიც არის წარდგენილი.

საერთო თვისება, რაც ახალგაზრდა ქართველი მხატვრების ნამუშევრებს ახასიათებს არის სიახლე, სინამდვილის აღქმის უშუალობა.

რუსული წიგნების ილუსტრაციები

სერგო ქობულაძე, შეიძლება ითქვას, პირველი მხატვარი — გრაფიკოსია, რომელმაც შეძლო შეექმნა ბრწყინვალე ილუსტრაციები XII საუკუნის რუსული პოეზიის შედევრისათვის «ამბავი იგორის ლაშქრობისა».

ბევრი ფიქრი და შრომა დასჭირდა ქართველ მხატვარს, ვიდრე ფერებსა და ხაზებში ამეტყველებდა ძველ რუსულ სიტყვაში ჩამოსხმულ შესანიშნავ «ამბავს». მის სახელოსნოში დღესაც ნახავთ რუსული მატერიალური და მხატვრული კულტურის ძეგლთა უამრავ ჩანახატს. მას არაფერი არ დაუტოვებია უყურადღებოდ—არც პსკოვის, ლადოგის, ნოვგოროდისა და ვლადიმირის დიდებულ ტაძართა ფრესკები, ლომებისა და მუზარადიან მხედართა ბარელიეფები, არც «სვიატოსლავის მატიანისა» და სხვა ძველრუსულ ისტორიულ თუ რელიგიურ კრებულთა დამსურათებლების ნამუშევრები.

პირველი კომპოზიცია «მზის დაბნელება» ქობულაძემ 1940 წელს შექმნა. თავდახრილი მეომრები დარდს მისცემიან. თეთრ ცხენზე ამხედრებული იგორ სვიატოსლავიჩი არაფრად აგდებს «ზეცის წინასწარმეტყველებას».

1946 წელს მხატვარი ქმნის მეორე კომპოზიციას—«ბრძოლა ყივჩაღებთან». ერთმანეთში არეულა კაცი და ცხენი. ისეთი დიდია ამ სურათის შთამბეჭდავი ძალა, რომ თითქოს ამჩნევთ კიდეც როგორ «ქუხს მიწა», როგორ «აიმღვრნენ წყალნი» და როგორ «ირხევიან დროშები».

ორივე კომპოზიცია შესრულებულია გუაშით, ერთ მკაცრ გამაში, თუმცა შესამჩნევად სჭარბობს მეწამული ტონი, როგორც ძველ რუსულ ხატწერაში.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ქეთევან მაღლაშვილი — „ქალიშვილის პორტრეტი“ (ზეთი).

1953 წელს სერგო ქობულაძე ასურათებს ა. ს. პუშკინის შესანიშნავ პოემებს «პოლტავას» და «ბოშებს» («პეტრე I», «მარია და მაზეპა», «კოჩუბეი და ორლიკი», «დასჯა», «ალეკო», «ზეფირა და ახალგაზრდა ბოშა»). ქობულაძემ მაღალოსტატურად შექმნა საგონებელში ჩავარდნილი კოჩუბეისა და მშვენიერი მარიას დრამატული სახეები. დაუვიწყარია დასჯის სცენა. ნახევრად შიშველ ზურგშექცეულ ჯალათს ორივე ხელში მაღლა აღმართული მოკვეთილი თავები უჭირავს.

1935 წელს მოსკოვში გამოვიდა ტიხონოვის წიგნი «ლექსები კახეთზე». კრებულში ცხრა ლექსი და შვიდი ილუსტრაციაა—ხეზე ამოჭრილი კომპოზიციები, ცნობილი ქართველი მხატვარი ქალის თამარ აბაკელიას მიერ დიდი სიყვარულითა და ჭეშმარიტი პოეტური აღმაფრენით შესრულებული.

გურამ გოგიაშვილი.

გამოჩენილი ქართველი მხატვარი დავით კაკაბაძე, რომლის შემოქმედება მხატვრობის თითქმის ყოველ დარგს მოიცავს. ბრწყინვალე პეიზაჟისტია. მისი ტილოები ელენე ახვლედიანის და სანდრო ცომაკურიძის ნამუშევრებთან ერთად ქართული პეიზაჟების ბრწყინვალე რიგს ქმნიან.

ნაირფერი მინდვრები, გზა, ალვის ხეები, მზე და კრიალა ჰაერი მხატვრის ტილოზე საქართველოს თვალწარმტაცი გაზაფხულის სურათია.

სურათზე: დ. კაკაბაძის „იმერული პეიზაჟი“.

საქართველოს სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი თავისი შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს საქართველოს ისტორიულ წარსულს უძღვნის. მრავალი ფერწერული ტილო და გრაფიკული ნამუშევარი მოგვითხრობს ჩვენი წარსულის ღირსშესანიშნავ ამბებზე.

თბილისის დაარსების მშვენიერმა ლეგენდამ შთააგონა ლადო გუდიაშვილს შეექმნა ულამაზესი ფერწერული ტილო. ლამაზი პეიზაჟის ფონზე გაშლილია მეფე ვახტანგ გორგასალის საზეიმო ნადირობის სურათი. დაჭრილ შველს უცქერის მეფის ამალა. საქართველოს ბუნებისათვის დამახასიათებელი თბილი კოლორიტი ასხივოსნებს სურათს.

თავისი სურათი გამოჩენილმა მხატვარმა თბილისის დაარსების 1500 წლისთავს მიუძღვნა.

ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა მოსკოვში

მოსკოვში, კუზნეცკი მოსტის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საქართველოს სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა, რომლის სანახავად ყოველდღე მრავალი მნახველი მოდის.

გამოფენაზე წარმოდგენილია სამასამდე ნამუშევარი, რომლებიც მაყურებელს სრულ წარმოდგენას აძლევენ მხატვრის მრავალფეროვან შემოქმედებაზე.

ორ დარბაზში მოთავსებული ფერწერა ასახავს მხატვრის შემოქმედების თითქმის ყველა ეტაპს. მოსკოველთა დიდ მოწონებას იწვევს: „თევზი ცოცხალი“, „მძინარე ქალი“, „იდილია“.

შემდეგ დარბაზში ძირითადად მოთავსებულია მხატვრის ბოლო პერიოდის შემოქმედება. გამოფენის მნახველები მუდამ ჩერდებიან ლ. გუდიაშვილის შესანიშნავ, ნათელ სურათთან „აბესალომ და ეთერი“, მსახიობ თამარ ციციშვილის პორტრეტთან, მომხიბლავ ტილოსთან „ეთერი სარკის წინ“. დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ქართული ფოლკლორული მოტივების ამსახველმა ტილოებმა „ყეენობამ“, „დევთა ჭორწილმა“ და სხვ.

სამ დარბაზში ექსპონირებულია დაზგური გრაფიკა, თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა და კოსტიუმები. აქვეა გამოფენილი „ვეფხისტყაოსნის“ და „სიბრძნე-სიცრუისა“ ცნობილი ილუსტრაციები.

მნახველთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ანტიმილიტარისტული თემის ამსახველი ნახატები, რომლებიც მხატვარმა სამამულო ომის პერიოდში შექმნა და რომლებიც გამორჩევიან თემისა და შესრულების დიდი სიმძაფრით.

შთაბეჭდილებათა წიგნი მოგვითხრობს იმ აღფრთოვანებასა და მოწონებაზე, რომელიც გამოიწვია მოსკოველებში ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენამ.

გიორგი თოთიბაძე ეკუთვნის იმ ნიჭიერ ახალგაზრდა ქართველ მხატვართა რიცხვს, რომელნიც მხარში ამოუდგნენ საქართველოს საბჭოთა მხატვრების უფროს თაობას. მის მიერ შესრულებული დიდი ტილო „ზეიმი კოლმეურნეობაში“ წარდგენილი იყო მოსკოვის საიუბილეო გამოფენაზე. საბჭოთა ადამიანების კეთილშობილურ შრომას მიუძღვნა მან თავისი ახალი დიდი კომპოზიცია „რუსთაველის მეტალურგები“, რომელიც ნაჩვენები იქნება ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში მოწყობილ გამოფენაზე მოსკოვში.

ძმური სალამი

ჩვენ, მოსკოველები, და განსაკუთრებით თეატრალური საზოგადოებრიობა დიდი ინტერესითა და სიხარულით ვეღით მოძმე ქართველი ხალხის ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენელთა ჩამოსვლას. ჩვენ გაგებული გვაქვს, რომ ქართულ თეატრს შეემატა ახალი დრამატული და საბალეტო ხელოვნების ნაწარმოებები. და ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი კოლეგები გაგვახარებენ თავიანთი მიღწევებით.

ვფიქრობ, რომ დეკადები, რომლებიც მოსკოვში იმართება, დიდ როლს ასრულებენ საბჭოთა კავშირის შემოქმედებითს ცხოვრებაში. ხელოვნება ის დიადი ძალაა, რომელიც აკავშირებს და აახლოებს ხალხებს. ხელოვნებაში ჩვენ მარტო ოსტატობას კი არ ვხედავთ, არამედ მასში ვპოულობთ ხალხის სულს, მის კულტურას, მსოფლმხედველობას, ესთეტიკურ შეხედულებებს.

ჩვენ წარსულშიც გვახსოვს ქართული ხელოვნების ბრწყინვალე მიღწევები. ეს მიღწევები ბევრ რამეს ჰმატებენ ჩვენს შემოქმედებით ძიებას, გვისახავენ პერსპექტივებს; ჩვენ ყოველთვის მზად ვართ მივიღოთ ისინი და ბევრი სხვა რამ, რაც ნიჭიერი ქართველი ხალხის შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

მე მგონია, რომ თეატრალური ხელოვნება ხალხთა დაკავშირების ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა. აი ჩამოვლენ ქართველი ხალხის წარმომადგენლები. ისინი სცენაზე იქნებიან, ჩვენ, მოსკოველები — დარბაზში. სცენა უშუალოდ აახლოებს ადამიანებს. აღსანიშნავია, რომ ქართული ხელოვნების წარმომადგენლებმა სახელი გაითქვეს არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთაც.

როდესაც ქართულ ხელოვნებაზე ვლაპარაკობთ, უთუოდ გვახსენდება ო. თაქთაქიშვილი, რომელმაც ჩვენთან მეტად ნაყოფიერი მუშაობა გასწია. მან ბრწყინვალე მუსიკა დაგვიწერა სპექტაკლ „ზამთრის ზღაპრისათვის“, გამოიჩინა გულისხმიერი, ძმური დამოკიდებულება და ჩვენს მუშაობაში ღრმად ჩაწვდომის სურვილი, რამაც საუცხოო შედეგი გამოიღო. მთელი ჩვენი კოლექტივი დღეს დიდი სიამოვნებით იხსენებს ჩვენთვის მახლობელ ოთარ თაქთაქიშვილთან ერთად გაწეულ მუშაობას.

სამწუხაროდ, საშუალება არა მაქვს ჩამოვთვალო საქართველოს ხელოვნების ყველა წარმომადგენელი, რომლებთანაც პირადი მეგობრობა და შემოქმედებითი ინტერესები მაკავშირებს. მაგრამ ბედნიერად ჩავთვლი თავს შევხვდე მათ მოსკოვში და გამოვუცხადო ჩემი გრძნობები. არასოდეს არ დამავიწყდება სტანისლავსკისთან ერთად თბილისში გატარებული დღეები.

მე არა მარტო მოსკოვის სამხატვრო-აკადემიური თეატრისა და მისი კოლექტივის (რომელიც აგრეთვე მოუთმენლად ელის ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლას) წარმომადგენელი ვარ, არამედ უბრალო მოსკოველიც ვარ და ამიტომ ვაძლევ ჩემს თავს უფლებას გამოვხატო მოსკოველთა გრძნობები და აზრები.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო კოლეგებო! ნება მიბოძეთ თქვენი მეშვეობით მივესალმო მოძმე ქართველ ხალხს.

მ. კედროვი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, მოსკოვის გორკის სახელობის სამხატვრო-აკადემიური თეატრის რეჟისორი.



მუხრან მაჭავარიანი

ამ დღეებში

ქვეყნიერებას
მზე როდესაც მოეფინება,
იქცევა სოლმე
სიხარულად იმ დროს
ჰაერი,
იმ დროს მდინარე
სიხარულით მოედინება,
გაღებულია
სიხარულის იმ დროს
კარები.

სედავ:
გრიალით მოაგორებს
ტალღებს ღიახვი,
სედავ:
ქართველი საქართველოს
მზისკენ მიაფრენს,
სედავ:
საცაა საქართველო
ცას ხელს შეახებს,
სედავ:
ქართული ხელოვნების
გაშლილ იალქნებს.

ჩვენი თეატრის

მღელვარებით სავსეა გული. დიდი, ნათელი დღესასწაული იხსნება.

ქართველმა ხალხმა თავის მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და უკანასკნელი ორი ათეული წლის შემოქმედებითი შრომის მონაპოვარის გამოსამზეურებლად, თავის საუკეთესო ხელოვანთა კრებული წარგზავნა მოსკოვში.

თხუთმეტი შემოქმედებითი კოლექტივი, ათეულობით ნაცადი და საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი შემოქმედი, ასეულობით ახლის ძიებაში დავაჟკაცებული ოსტატი დაიცავს დიდი მოსკოვის გულისხმიერი და მკაცრი მაყურებლის წინაშე ქართული საბჭოთა ხელოვნების ღირსებას. ამ სადღესასწაულო დღეს, მსოფლიო თეატრალური კულტურის სარბიელზე ჩვენი ნაამაგდარი კოლექტივებისა და სასახელო ოსტატების გამოსვლის დღეს, ჩვენ დიდი სიყვარულით, მოკრძალებით და პატივისცემით მოვიხსენიებთ მათ უკვდავ სახელებს, რომელთა ბრწყინვალე ნიჭის შუქთა მოფენამ, შემოქმედებითმა აღმაფრენამ და მშობლიური კულტურისადმი თავდადებამ ააღორძინა ქართული თეატრი და შეუქმნა მის ხელოვნებას საამაყო და მოწინავე ტრადიციები.

დღევანდელ საზეიმო დღეს ქართული სცენის ოსტატებს არ შეიძლება არ მოაგონდეთ ახალი ქართული თეატრის მამამთავარი გიორგი ავალიშვილი, რომელმაც XVIII საუკუნის დასასრულს ქართული მსახიობის ცოცხალი ტრადიციების გამოყენებით, რუსული თეატრის მიღწევათა შთაგონებით, შექმნა ახალი თეატრი და მით გზა გაუკვალა სცენის საგანმანათლებლო დანიშნულებას, ბოროტების მამხილებელ ქართულ თეატრალურ ხელოვნებას. ჩვენ გვჯერა, რომ ამ ღვაწლმოსილი სახელის გახსენება სიმხნევეს მისცემს, პასუხის მ გ ებ ლ ო ბ ი ს გრძნობას განუმტკიცებს ჩვენს სახელოვან წარგზავნილებს.

ამ სადღესასწაულო დღეს, როდესაც ქართული სასცენო ხელოვნების წარგზავნილნი მოსკოვში საქვეყნოდ გამოაფენენ სიმართლის მეტყველ ხელოვნების ძალას, ჩვენს თვალთა წინაშე აღიმართება აგრეთვე ქართული რეალისტური თეატრისა და დრამატურგიის ფუძემდებლის გიორგი ერისთავის სახე. ბუნებრივია, რომ ამ დიდად ნაამაგდარი მოღვაწის მოგონებით ჩვენ გვებადება სურვილი, რომ საქართველოს წარგზავნილთა ხელოვნება ისეთი სიმართლით, კეთილშობილი ზომიერებით, სიმახვილით და სიხალისით იყოს მადლმოსილი, რაზედაც ოცნებობდა გიორგი ერისთავი და რასაც ესწრაფვოდნენ მისი თეატრის მსახიობები.

ქართული ხელოვნების ამ დიდად საზეიმო დღეს განსაკუთრებული მოკრძალებით, პატივისცემით და სიყვარულით მოვიხსენიებთ ვასო აბაშიძეს — აქტიორული განსახიერების ქართული რეალისტური სკოლის ფუძემდებელს, სასცენო ტიპიური სახეების უბადლო ოსტატს, სცენიური განსახიერების ქართული ეროვნული კ ი ლ ო ს შ ე მ ო ქ მ ე დ ს. გვჯერა, რომ მოსკოვს წარგზავნილი ჩვენი ოსტატები თავის ნიჭსა და ხელოვნებას არ დაიშურებენ, რათა, მათ მიერ შექმნილი სცენიური სახეები აღბეჭდილი იყვნენ ტიპიური სისავსით, ცხოვრებისეული სიმართლით, დამაჯერებლობითა და მომხიბვლელობით, თვისებებით, რომლის ქართულ სცენაზე დამკვიდრებისათვის იღწვოდა მათი წინაპარი დიდი მსახიობი.

თეატრის ამ საზეიმო დღეს ჩვენ, ცხადია, მოვიგონებთ ნატო გაბუნიას — ჭირში გაუტეხელი ქიდუხრელი, შეუპოვარი ხასიათის ქართვლის დედის განმსახიერებელ დიდ მსახიობ ქალს, რომლის ხელოვნების ეშხი და სილამაზე სამარადისოდ შერჩა ქართული სცენის ფარდას. და დღეს, როდესაც ჩვენი მსახიობი ქალები წარსდგებიან მოსკოვის მაყურებლის წინაშე გვჯერა, რომ ისინი იმდენადვე სრულყოფილნი იქნებიან თავიანთი მომხიბვლელი სილამაზით, უზადო პლასტიკური გამომსახველობით, განცდის სამართლით და ეროვნული იერით, რამდენადაც უზადო იყო ნატო გაბუნიას ნიჭი და მისი დიდი მისწრაფება მშობლიური სცენის წარმატებისათვის.

ამ საზეიმო განწყობილების ჟამს ჩვენ, რასაკვირველია, გვაგონდება ლადო მესხიშვილი — საბრძოლო სულისკვეთების მგზნებარედ გამომსახველი ოსტატი, ვაქკაცური სილამაზით მადლმოსილი უბადლო ხელოვანი.

კორიფეები

რომელმაც ქართული რომანტიკული აქტიორული სკოლა შექმნა, რევოლუციური, დემოკრატიული ტრადიციები დაამკვიდრა ჩვენს სცენაზე. და ჩვენ გვჯერა, რომ ქართული ხელოვნების ოსტატები მოსკოვის მაყურებლებს უჩვენებენ თუ როგორი მძლავრი განვითარება ჰპოვა მესხიშვილისეულმა სცენის დემოკრატიულმა, რეალისტურმა ტრადიციამ ქართულ საბჭოთა თეატრში.

ქართულ და რუსულ ხელოვნებათა ურთიერთკავშირის ამ დიდ დღესასწაულის დღეს, ჩვენ გვგონდება კოტე მარჯანიშვილი — მშვენება და სიამაყე ქართული საბჭოთა სცენისა, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურის განვითარებას, აღზარდა მთელი თაობა ოსტატებისა, და განახორციელა სპექტაკლები, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი ქართულ თეატრს, ძვირფასი რეჟისურას, მსახიობებს და ხელოვნებას. ამავე დროს მარჯანიშვილმა მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ფურცლები ჩასწერა რუსული თეატრის ისტორიაში, ძიებით მზიურ შემოქმედებაში საუკეთესო გამოხატულება ჰპოვა ქართული და რუსული თეატრების ურთიერთკავშირის კეთილნაყოფიერებამ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოსკოვს ჩასული ჩვენი ოსტატები ერთგული იქნებიან მარჯანიშვილისეული ტრადიციისა და იმდენადვე ბევრს ისწავლიან დიდი რუსი ხალხის მოწინავე ხელოვნებისაგან, რაოდენადაც ღირსეული იქნება მათი შემოქმედებითი წვლილი მრავალეროვანი საბჭოთა ხელოვნების საგანძურში შეტანილი.

დიმიტრი ჯანელიძე.

ქართველ ხალხს

ჩვენ, მოსკოველები, ძალიან ბედნიერი ვართ, რომ ჩვენს დედაქალაქში ჩამოსულან ქართველი ხალხის ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლები. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მსახიობები, ჰყავს ნიჭიერი მწერლები, ჰყავს ნიჭიერი მხატვრები, ჰყავს ნიჭიერი მუსიკოსები. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მკითხველი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ.

ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ.

ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ.

ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ჰყავს ნიჭიერი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენს ხელოვნების ყველა დარგის მიმართ.

მ. კედროვი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, მოსკოვის გორკის სახელობის სამხატვრო-აკადემიური თეატრის რეჟისორი.

რუსულ-ქართული თეატრალური ურთიერთობა

რუსულ-ქართული თეატრალური ურთიერთობა საუკუნეზე მეტ ხანს მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში ორ ხალხს შორის ხელოვნების ეს დარგი ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა.

ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა.

ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა.

ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა.

თეატრალური ურთიერთობა

რუსულ-ქართული თეატრალური ურთიერთობა საუკუნეზე მეტ ხანს მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში ორ ხალხს შორის ხელოვნების ეს დარგი ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა.

ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა.

ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. ამ ურთიერთობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ორ ხალხს, რომელთა ხელოვნებაც ერთმანეთის ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა.



ვაჟას ნაწარმოების სცენიური ინტერპრეტაციისათვის

ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოებთა შორისაც კი მხოლოდ ზოგიერთია ისეთი, რომელიც იმდენად ახლობელი გახდება ადამიანისათვის, რომ მთელი სიცოცხლე თან სდევს. ასეთია ჩემთვის ვაჟას „მოკვეთილი“. დიდხანს მჭონდა გულში მისი დადგმის სურვილი. ეს სურვილი იმითაც ძლიერდებოდა, რომ კოტე მარჯანიშვილისაგან მჭონდა გაგონილი, „მოკვეთილის“ დადგმა მინდაო.

მაღელვებდა, თან მაშინებდა ის რთული გზა, რომელიც ვაჟამ აირჩია ამ პიესაში დადებითი იდეის — პატრიოტული გრძნობის სიღრმისა და სიძლიერის გადმოცემისათვის ხალხის წინაშე დამნაშავე ადამიანის ჩვენებით. ნაწარმოების დედააზრის ამგვარი წარმართვა შექსპირთან ასოციაციას იწვევდა. ამის გამო, ალბათ, არ მიგრძვნია ამ პიესის დრამატურგიული არასრულყოფილება.

ის ვაჟკაცური სისადავე, რომელიც ვაჟას ნაწარმოებთა თავისებურებას შეადგენს, დაბეჯითებით მიკარნახებდა სპექტაკლის მკაცრ და სადა ფორმას. თვითონ გარემოც, რომელშიც ვაჟას გმირები ცხოვრობენ, ჩემი აზრით, ასეთივე სადა და მკაცრი უნდა იყოს. ამ მხრივ სრული დამთხვევა მოხდა ჩემს რეჟისორულ ხედვასა და მხატვარ ი. სუმბათაშვილის დეკორაციულ გადაწყვეტას შორის. ჩვენ ერთნაირად წავიკითხეთ ვაჟას პიესა. აქედან დაიბადა სპექტაკლის მუქი ფერი: ბუნების მკაცრი მონახაზი, მკრთალი შუქი, რომელიც მთელი სპექტაკლის მანძილზე მხოლოდ მოქმედ პირთა სახეს ანათებს, რათა მაყურებლის ყურადღება გმირის განცდის სფეროს არ მოშორდეს.

სპექტაკლის ამგვარი გადაწყვეტა რთულ და ძნელ პირობებში აყენებს მსახიობს — მისგანაც ასეთსავე ლაკონიურობას მოითხოვს. მოითხოვს განცდის დიდ ძალას, რომელიც მის განათებულ სახეზე უნდა აღიბეჭდოს. ამიტომ ვაჟას გმირის სრულფასოვანი განსახიერებისათვის მსახიობს უნდა ჰქონდეს ღრმა განცდისა და მისი ძუნწად გამოვლინების უნარი.

ყველასათვის ცნობილია ვაჟას სიტყვის უჩვეულო მუსიკალობა. „მოკვეთილი“, მე ასე მგონია, კითხვაშიც კი მუსიკალური ნაწარმოების მსგავსად ღერს. ასეთი ტექსტი თეატრში უსათუოდ მუსიკას მოითხოვს მაგრამ არა ისეთს, რომელიც თან ახლავს ტექსტს, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც ხასიათით ორგანულად ერწყმის სიტყვის მუსიკას და გმირთა გრძნობების ვაჟასებურ პოეტურობას. ამ მიმართულებით ვმუშაობდით ჩვენ „მოკვეთილის“ მუსიკაზე კომპოზიტორ არჩილ ჩორგოლაშვილთან ერთად.

ცნობილი საკითხი თემისა და პიროვნების ურთიერთობის შესახებ, რომელზეც ასე ხშირად ლაპარაკობენ ვაჟას შემოქმედებასთან დაკავშირებით, ჩემი გაგებით, ვაჟას ხალხის, ერისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემამდე აჰყავს. თემის საკითხისათვის ხაზის გასმა, ვფიქრობ, ამცირებს ვაჟას ამ ნაწარმოების იდეის სიღრმესა და მასშტაბს, ამიტომაცაა ასე ხაზგასმული ჩვენს სპექტაკლში სახალხო სცენები, ხალხის მონაწილეობა მთავარ მოქმედ პირთა ცხოვრებაში.

„მოკვეთილზე“ მუშაობისას ჩვენ მიზანს შეადგენდა ვაჟას ღრმა და დიდ აზრის გადმოცემა იმ სცენიური საშუალებებით, რომლებიც ამ ბუმბერაზი შემოქმედის განუმეორებელ ლიტერატურულ თავისებურებას შეესატყვისება, ვაჟას შემოქმედებით სულთან ქართველი მსახიობის, ქართული თეატრისა და ქართველი მაყურებლის მიახლოება.

არჩილ ჩხარტიშვილი,

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ფოტოკომპოზიცია ვლ. გინზბურგი

მოსკოვს

(მესტვირული)

მრავალჯერ სიზმრად ნახულო
ჩემი ოცნების საგანო,
დიდი ლენინის ფიქრების
და საქმეების აკვანო.
მისი შუბლივით ნათელო,
მისი აზრივით მაღალო.
ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი
ჩემი სამშობლო მხარიდან,
ქართლის მადლიან მიწიდან,
რუსთველის ნატერფალიდან
შენთან მოვსულვარ, მოსკოვო,
სალამი მითქვამს კრძალვითა.
ამირან გმირის მთებიდან
სულ ფრენით მოვალ აქამდი.
შავი მერცხალის ფრთებითა
განა მესტვირის ნაბადით.
შენს მაგზოლეუმს დიდება,
შენს კრემლს მადლობა მარადი.
თუ კვლავ მზაკვრულად დაგვეცნენ
გვიგულე ვით ბახტრიონი.
შენს ბჭესთან თუ არ დავდექით,
ვით პეტრე ბაგრატიონი,
მეხივით თავზე დაგვეცეს
მშობელი კავკასიონი.
კრემლის ვარსკვლავთა კაშკაშით
მარადჟამს უნდა გვახარო.
გაგვიძეხ! შენს გმირ პარტიას
იმედით უმზერს სამყარო.
„მუხლი მაიბი მგლისაო“
ფრთანი „ქორ შევარდნისაო“
აკვანო კომუნიზმისა,
მშვიდობის ბაირაღტარო.

გ. ჯაფარიძე.

ქართული ფილმები

რამდენიმე წლის წინათ კინოსტუდია „ქართული ფილმი“ წელიწადში სულ ორ-სამ ფილმს უშვებდა. დღეს კი მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. კინოსტუდიის პავილიონებში დიდი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული. აქ იქმნება ახალი მხატვრული, დოკუმენტური, მულტიპლიკაციური ფილმები.

საბჭოთა მრავალეროვანი კინოხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართული კინემატოგრაფიის მუშაკებმა. საბჭოთა კინოს საგანძურში შევიდა ისეთი ფილმები, როგორიც იყვნენ „წითელი ეშმაკუნები“, „ელისო“, „ნარინჯის ველი“, „უკანასკნელი მასკარადი“, „სამი სიცოცხლე“ და სხვა მრავალი.

უკანასკნელ წლებში გაწეული ნაყოფიერი მუშაობის შედეგია „ქართული ფილმის“ მიერ გამოშვებული მთელი რიგი ჯარგი ფილმები. „პრიჭინა“, „მაგდანას ლურჯა“, „ბაში-აჩუკი“, „ორი ოკეანის საიდუმლოება“, „ჩვენი ეზო“ — თემატიკის, იდეურობისა და მხატვრული თვალსაზრისით სხვადასხვა არიან, მაგრამ ქართული კინემატოგრაფიის განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენენ.

მუდმივი თოვლით დაფარული მთები, ველები, კახეთისა და იმერეთის თვალწარმტაცი პეიზაჟები, საკოლმეურნეო მინდვრები, სადაც შრომის სიმღერას აგუგუნებს ქართველი გლეხკაცი, რუსთავის ფოლადის მდნობელი და ქართული ავტომობილის შემქმნელი მკლავმაგარი ვაჟკაცები, ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები — აი თემა ქართული დოკუმენტური ფილმებისა. და, მართლაც, „ალაზნის ველმა“, „პამირის მწვერვალებმა“ საყოველთაო აღიარება მოიპოვეს, ხოლო უკანასკნელად შექმნილ კინონარკვევს „საბჭოთა საქართველო“ დეკადის დღეებში ნახავს მოსკოველი მაყურებელი.

წლების მანძილზე მრავალი მხატვრული ფილმი შექმნეს ქართველმა რეჟისორებმა—მ. ჭიაურელმა, ლ. ესაკიამ, ნ. შენგელაიამ, ს. დოლიძემ, დ. რონდელმა, ნ. სანიშვილმა, მ. კალატოზიშვილმა, შ. მანაგაძემ, კ. პიპინაშვილმა, ლ. ხოტივარმა, ოპერატორებმა დ. ჯანდელაკმა, ა. დიღმელმა, ა. სემიონოვმა, ფ. ვისოცკიმ და მრავალმა სხვამ.

აღტაცებით შეხვდა მაყურებელი ახალგაზრდა რეჟისორების რევაზ ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის პირველ მხატვრულ ფილმს „მაგდანას ლურჯას“. ამ ფილმმა სამართლიანად გაითქვა სახელი საბჭოთა კავშირის გარეთაც. ამჟამად ახალგაზრდა რეჟისორები უფროსი თაობის შემოქმედებით ერთად ქმნიან ახალ საინტერესო კინოსურათებს.

დღეს ქართული კინემატოგრაფია შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე დგას, მას ყველა პირობა აქვს, რათა მაღალიდეური, მაღალ-მხატვრული ფილმები შექმნას.

კადრები ფილმებიდან: „მაგდანას ლურჯა“, „ბაში-აჩუკი“, „ჩვენი ეზო“ და „პრიჭინა“.

ჩვენი ხელოვნების მომავალი

დეკადის დღეებში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებთან ერთად თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლიც ჩავა მოსკოვში. პირველ კონცერტს ისინი 25 მარტს გამართავენ დიდი თეატრის ფილიალში, 26 მარტს კი შემოქმედებითი შეხვედრა ექნებათ მოსკოველ თანატოლებთან. ამ დღეს მოსკოვის პიონერთა სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი თბილისელ მეგობრებთან ერთად გამართავს კონცერტს. საინტერესო და მრავალფეროვანია ამ კონცერტის პროგრამა. პირველ განყოფილებაში თბილისელი მოსწავლეები წარმოადგენენ ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ნიმუშებს. ეს ნაწილი დამთავრდება ბავშვთა ბალეტით „ბაბუაწერაქვის ბიჭები“. მეორე განყოფილებაში მოსკოველი პიონერები ასრულებენ საბავშვო სიმღერებს. ამ ნაწილის ბოლოს ანსამბლი ჩვენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ცეკვებს წარმოადგენს. ეს ნაწილიც ბალეტით დამთავრდება. ამ ბალეტის სცენარი და მუსიკა ეკუთვნის ქართველ კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძეს.

ჩვენი ხელოვნების მომავალი ამ ანსამბლის პატარა მონაწილეებშია. ისინი ჯერ კიდევ ბავშვები არიან, მაგრამ ისინი უკვე ნამდვილი მხატვრები არიან. ამ ანსამბლის ყოველი მონაწილე ბევრ ნიჭიერ ბავშვთან ერთად ამზადებდა ამ დიდ ნომერს. ანსამბლის ხელმძღვანელები ეძებდნენ ნიჭიერ ბავშვებს, ტალანტიან მოცეკვავეებს, ინდივიდუალურ შემსრულებლებს. ბევრი მათგანის გვარს „დამსახურების“ მაჩვენებელი ტიტულებიც კი ამკობს. მაგალითად, ნორჩი მევიოლინე ლიანა ისაკაძე საქართველოს ახალგაზრდობის ფესტივალის ლაურეატია, ცეკვა „ქართულის“ ნიჭიერმა შემსრულებელმა თამრიკო ბელმა კი მოსკოვის პიონერული ფესტივალის ლაურეატობა. უსმენთ პატარა მომღერალ ნათიშვილს და ვერ განასხვავებთ უკეთ მღერის: გ. ჩიქვანი თუ ო. ჯანელიძე. ნათიშვილი, ნ. ბეჟანიშვილი, თ. ზანგურიძე და სხვები ზერთ და არ იციან, რომელ ცეკვა უფრო ნატიფად მოხდენილი: ლ. ჭანტურიძის თუ გ. თვალიაშვილის... ლ. ნაფეტვარიძის „გვჯერა, რომ მოვალთ“ მუზაშვილის... გვჯერა, რომ მოვალთ მათი კონცერტები ისეთივე სიმღერები, „დავლური“ და „ჯორჯანა“, „ბორჯომი“ და „ჭიაბრი“ მოსკოველ მაყურებელს წონებასა და ნიჭიერებას.

ტ. ჭანტურია.

ცირკის არენაზე

1958 წლის 19 თებერვალი. ქართული საბჭოთა ხელოვნების ისტორიაში კიდევ ერთი ახალი ფურცელი ჩაიწერა — დაიბადა ქართული ეროვნული ცირკი. ამ დღეს ცირკის გულშემატკივრები დიდი ხანია ელოდნენ. ქართული ცირკის დაბადება დაემთხვა ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მოსამზადებელ პერიოდს.

მართალია, ქართველ ხალხს საცირკო ხელოვნების უძველესი ტრადიცია აქვს და მისი ფესვები შორეულ წარსულშია, მაგრამ ერთიანი, მთლიანი კოლექტივის დაბადება პირველი შემთხვევაა. ვის არ უნახავს, რომელი ქალაქის ცირკის არენაზე არ გამოსულან ხელოვნების ამ მეტად თავისებური დარგის ქართველი ოსტატები? დღეს კი ისინი ერთ მთლიან კოლექტივად გაერთიანდნენ.

იწყება პარადი. ქართული მელოდიების ხმაზე ცირკის არენაზე შემოდიან ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართული ცირკის მსახიობები.

— ეკვილიბრისტები კიბეზე, — აცხადებს პროგრამის თეთრ ჩოხა-ახალუხიანი წამყვანი. მაყურებელი იხიბლება გოლიაძეების გამოსვლით. მათ წინაპრებს მრავალჯერ უსახელებიათ თავი სხვადასხვა ცირკის არენაზე. დღეს ამ ოჯახის უფროს წარმომადგენლებთან ერთად უმცროსებიც მონაწილეობენ. ისინი საუკეთესოდ, დახვეწილად ასრულებენ მეტად რთულ საცირკო ნომრებს.

არენაზე ერთმანეთის მიყოლებით გამორბიან ეტლებსა და ურიკებში შებმული ძაღლები. ზოგ მათგანს კინოს ტანსაცმელი აცვია, ზოგნი ქართულ კაბებში გამოწყობილი „ბანოვანები“ არიან; ეს ორიგინალური ნომერი ეკუთვნის რუსფსრ დამსახურებულ არტისტს, ცირკის ვეტერანს გამოჩენილ ქართველ კლოუნს ალექსი ცხომელიძეს და როგორც მრავალი წლის წინათ, დღესაც მაყურებლის ერთსულოვან მოწონებას იმსახურებს.

აღდგომელაშვილები ვარჯიშში ღერძზე პროგრამის ერთ-ერთი საინტერესო ნომერია. მათი ვარჯიში მოსწონს მაყურებელს და მჭუხარე ტაშით აჯილდოებს შემსრულებლებს. ასევე ითქმის სანდრო დადეშქელიანზე, რომელიც დახვეწილად ასრულებს რთულ ნომრებს.

ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილნი გამორბენენ არენაზე ცხენოსნები. ისინი ასრულებენ ცხენოსნობის ელემენტებს, ხტებიან ცხენებიდან, ისევ ხტებიან ცხენებზე, ატარებენ ცხენებს ერთმანეთის გვერდით, ატარებენ ცხენებს ერთმანეთის ზურგზე.

ცირკის ამ ნაცნობ ნომრებს ძალიან დაედო ქართული ეროვნული ელფერი. პროფესიონალური ცირკი კოლექტივმა შექმნა. სასიხარულოა, რომ ცირკის ვეტერანებმა გვერდით შეასწავლეს გამოდიან რთული ნომრებით ახალგაზრდა ოსტატებიც.

ახლა ჩამოყალიბდა ცირკის ქართული ცირკის კოლექტივი ჩვენი ტურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეობისათვის.

ბ. გახტური.

რედაქტორი პ. რატიანი

დეკადის დღეებში

დღეს მოსკოვის თეატრებში

დიდ თეატრში — დაისი (თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი).

მცირე თეატრში — გზაჯვარედინზე (თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი).

გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიურ თეატრში — კოკვაძე (თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი).

ვახტანგოვის სახელობის თეატრში — ტარიელ გოლუა (თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი).

ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში — ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი.

დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — (ერევნის ა. სპენდიაროვის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი). **რუსთაველობის** — პერიკოლა (ვ. აბაშელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი), **მარჯანიშვილობის** — ზიკოვები (გორკის თეატრის სპექტაკლი), **სომხური** — განგის ჭალაში, **ზარდ მაყურებელთა ქართული** — ბერეო, **მოზარდ მაყურებელთა** — კოშკი მეწისქვილეზე, **ქართული** — ჭაჭა და გამა (11 ს.), დიდი ივანე (2 ს.).

მეგობრული შარჟები



ნახატი გ. ფირცხალავასი.